

1. **სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ მომსახურებათა განმარტებაები :**
  - 1.1. **ასისტანსი 24/24 ცხელი ხაზი** - ითვალისწინებს სადღეღამისო სატელეფონო სამედიცინო კონსულტაციას, მიმდინარე სამედიცინო დაზღვევასთან დაკავშირებულ პრობლემატური საკითხების მოგვარებას, სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას, 24 საათიანი სატელეფონო საინფორმაციო მომსახურება. გადაუდებელი და გეგმიური სამედიცინო დახმარების ორგანიზაცია (ბინაზე კონსულტაციისა და ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული გამოკვლევების უზრუნველყოფის ჩათვლით).
  - 1.2. **ოჯახის (პირადი) ექიმი** - ითვალისწინებს კომპანიის მიერ მითითებული პირადი ექიმის (ზოგადი პრაქტიკის ექიმი) მომსახურების - კონსულტაცია, ჯანმრთელობის მუდმივი მეთვალყურეობა, საჭიროების შემთხვევაში მიმართვებითა და დანიშნულებით უზრუნველყოფა - ხარჯების ანაზღაურებას, პოლისის პირობების შესაბამისად. თითოეულ დაზღვეულზე პირადი ექიმის გამოყოფა; დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის უწყვეტი სამედიცინო მონიტორინგი; ჯანმრთელობის - მდგომარეობის მონიტორინგი: პროფილაქტიკური გასინჯვა და კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები (სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, ეკგ-ანკეტა-ისტორიის შექმნა ; მომსახურება ბინაზე; სამედიცინო კონსულტაციებით უზრუნველყოფა; მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობა, რისკ ფაქტორებისა და ქრონიკულ დაავადებათა სკრინინგი; დაზღვეულთათვის ბინაზე მკურნალობის უზრუნველყოფა და კონტროლი; თანხლება სამედიცინო გამოკვლევისა და მკურნალობის ყველა ეტაპზე; დაზღვეულის ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში დაზღვეულის ინტერესების დაცვისა და პატრონაჟის ფუნქციის შესრულება; რთული დიაგნოზის შემთხვევაში კონსილიუმის მოწვევა; ჰოსპიტალიზაციის შემდგომი რეაბილიტაცია.
  - 1.3. **პროფილაქტიკური გამოკვლევები** - ითვალისწინებს სამედიცინო ჩვენების გარეშე ჯანმრთელობის სამედიცინო შემოწმების (სისხლის საერთო ანალიზს, შარდის ანალიზს, გლუკოზის განსაზღვრას სისხლში, ეკგ, მუცლის ან გულმკერდის ექოსკოპიას) ხარჯების ანაზღაურებას პირადი ექიმის სამსახურის ბაზაზე, პოლისის პირობების შესაბამისად. ანკეტა ისტორიის შექმნა.
  - 1.4. **სასწრაფო სამედიცინო დახმარება** - ითვალისწინებს სამედიცინო ჩვენებით გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახების, ადგილზე სამედიცინო მომსახურების, საჭიროების შემთხვევაში დაზღვეულის შემთხვევის ადგილიდან სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებას, პოლისის პირობების შესაბამისად. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ხარჯების სრულად ანაზღაურება. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება ; შემთხვევის ადგილზე გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა ; საჭიროების შემთხვევაში ტრანსპორტირება სამედიცინო დაწესებულებაში ; რეანიმოციის მომსახურება საქართველოს ნებისმიერ რეგიონში ; სასწრაფო სამედიცინო დახმარების დაწესებულებათა ფართო არჩევანი.
  - 1.5. **გეგმიური და გადაუდებელი სტაციონარული (ჰოსპიტალური) მომსახურება (სამედიცინო დაწესებულებაში დაყოვნება 24 საათზე მეტად)** - სამედიცინო ჩვენებით დაზღვეულის ჰოსპიტალური მომსახურების ხარჯების (ქირურგიული მკურნალობის ხარჯები, პალატა, კვება) ანაზღაურება. მ.შ კარდიოქირურგიული, ონკოქირურგიული მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ იფარება სახელმწიფო პროგრამების მიერ. ჰოსპიტალური მომსახურების ორგანიზება. ჰოსპიტალიზაციის პერიოდში ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების ხარჯების ანაზღაურება. ჰოსპიტალიზაციის პერიოდში მედიკამენტური მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება. მწვავე ტრამეების შემთხვევაში ჰოსპიტალური მომსახურების ხარჯების ანაზღაურება. ჰოსპიტალში 24 საათზე მეტი ხნით დაყოვნების ღირებულების ანაზღაურება. ჰოსპიტალური მომსახურების თავისუფალი არჩევანი.
    - 1.5.1. **გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურება** - ითვალისწინებს შესაბამისი სამედიცინო ჩვენებისას ჰოსპიტალური (მედიკამენტების, დიაგნოსტიკური და სამკურნალო მანიპულაციების, თერაპიული და ქირურგიული მკურნალობის) მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას, პოლისის პირობების შესაბამისად.
    - 1.5.2. **გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება :**
      - 1.5.2.1. **ურგენტული ჰოსპიტალური მომსახურება :** ითვალისწინებს დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესებასთან დაკავშირებული იმ აუცილებელი სამედიცინო ღონისძიებების (მედიკამენტები, დიაგნოსტიკური მანიპულაციები, თერაპიული და ქირურგიული მკურნალობა) ხარჯების ანაზღაურებას, რომელთა 24 საათზე მეტი ხნით გადავადების პირობებში გარდაუვალია დაზღვეულის სიკვდილი, დაინვალიდება და რომელიც დაზღვეულს გაეწევა სამედიცინო დაწესებულებაში, ისე რომ პაციენტი საჭიროებს სამედიცინო დაწესებულებაში დაყოვნებას 24 საათზე მეტად. უბედური შემთხვევის გამო ორსულობის შეწყვეტის ან საშვილოსნოს გარე ორსულობისას საჭირო სამედიცინო მომსახურების ხარჯები ანაზღაურდება გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურების მუხლის შესაბამისად - მიუხედავად იმისა, ითვალისწინებს თუ არა სადაზღვევო პოლისის ორსულობა/მშობაობის დაფინანსებას.
      - 1.5.2.2. **გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება უბედური შემთხვევის გამო** - ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში გარეშე ძალის (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური) ზემოქმედების შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესებისას ჰოსპიტალში 24-საათზე მეტი ხნით დაყოვნებისას მედიკამენტების, დიაგნოსტიკური და სამკურნალო მანიპულაციების, თერაპიული და

მსხპ'ი.მ

7

ქირურგიული მკურნალობის ღირებულების ანაზღაურებას, პოლისის პირობების შესაბამისად.

1.6. გეგმიური და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება (სამედიცინო დაწესებულებაში დაყოვნება 24 საათი და 24 საათზე ნაკლებად) - ინსტრუმენტული გამოკვლევები - ექოსკოპია, ფიბროსკოპია, რენტგენი, კომპიუტერული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია - ხარჯების ანაზღაურება ; ლაბორატორიული გამოკვლევები - ადამიანის ბიოლოგიური სითხეების ლაბორატორიული გამოკვლევების ხარჯების ანაზღაურება ; სხვადასხვა პროფილის ექიმების კონსულტაციის კონსულტაციის ღირებულების ანაზღაურება ; მწვავე ტრამეების შემთხვევაში ამბულატორიული მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

1.6.1. გეგმიური ამბულატორიული მომსახურება - ითვალისწინებს სამედიცინო ჩვენებით ექიმის მიერ დანიშნული ამბულატორიული მომსახურების (ინსტრუმენტული, ლაბორატორიული გამოკვლევებისა და ამბულატორიული მანიპულაციების, სპეციალისტის კონსულტაციის) ხარჯების ანაზღაურებას, პოლისის პირობების შესაბამისად.

1.6.2. გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება - სადაზღვევო პერიოდში აღმოცენებული გარეშე ძალის (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური) ზემოქმედების შედეგად ან ჯანმრთელობის მდგომარეობის უცაბედი გაუარესებისას საჭირო გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების (კლინიკური, ინსტრუმენტული, ლაბორატორიული გამოკვლევებისა და ამბულატორიული მანიპულაციების) ხარჯების ანაზღაურება, პოლისის პირობების შესაბამისად.

1.7. მედიკამენტები - ითვალისწინებს სამედიცინო ჩვენებით ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებას, პოლისის პირობების შესაბამისად. შესაბამისი სამედიცინო ჩვენებისას ოჯახის ექიმისა და სხვადასხვა პროფილის სპეციალისტის მიერ დანიშნული მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურება. მათ შორის ქრონიკული დაავადებების გამწვავების პერიოდში (გულსისხლძარღვთა, სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების, შარდსასქესო სისტემის პათოლოგიების გამწვავების პერიოდში და სხვა) სააფთიაქო დაწესებულებათა ფართო არჩევანი.

1.8. ორსულობა/მშობიარობა - ითვალისწინებს ორსულთა პატრონაჟისათვის საჭირო სამედიცინო მომსახურებების (ექიმის კონსულტაცია, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები, ამბულატორიული მანიპულაციები, მედიკამენტების ღირებულება) და მშობიარობასთან ან საკეისრო კვეთასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას, პოლისის პირობების შესაბამისად. ორსულობა/მშობიარობა ვრცელდება თანამშრომელსა და მის (დაზღვეულ) მეუღლეზე.

1.8.1. ორსულობა : ექიმის კონსულტაცია, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების ხარჯების ანაზღაურება, პატრონაჟისათვის საჭირო სამედიცინო მომსახურება. (იგულისხმება ორსულობის მეთვალყურეობის სახელმწიფო პროგრამის მიღმა დარჩენილი მომსახურება, ანუ ორსულის რიგგარეშე ვიზიტებისა და იმ კონსულტაცია-გამოკვლევების ხარჯების დაფარვა, რასაც არ ითვალისწინებს სახელმწიფო პროგრამა, აგრეთვე ორსულთა ის პათოლოგიები, რომელიც საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას).

1.8.2. მშობიარობა : ფიზიოლოგიური მშობიარობისა და საკეისრო კვეთის ხარჯების სრული ანაზღაურება, კვების ჩათვლით გინეკოლოგიური დაწესებულებებისა და მეანის თავისუფალი არჩევანი.

1.9. სტომატოლოგია :

1.9.1. გადაუდებელი სტომატოლოგია - ითვალისწინებს კბილის მწვავე ტკივილის გაყუჩებისა და კბილის ექსტრაქციის ღირებულების ანაზღაურებას.

1.9.2. გეგმიური სტომატოლოგიური მომსახურება (თერაპიული და ქირურგიული) - კონსულტაცია, დიაგნოსტიკური რენტგენოგრაფია, კბილის დაბუნა, გაწმენდა და თერაპიული მკურნალობა, პირის დრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება.

1.10. სიცოცხლის დაზღვევა (ვრცელდება თანამშრომელზე) - ითვალისწინებს დაზღვეულის დაზღვეულის უბედური შემთხვევით ან ბუნებრივი მიზეზით გარდაცვალების გარდაცვალების შემთხვევაში მოსარგებლისათვის სადაზღვევო თანხის ანაზღაურებას « სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის » სიცოცხლისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის სტანდარტული პირობების შესაბამისად.

## 2. ქმედება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას :

2.1. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისას დაზღვეული, სურვილის შემთხვევაში, უკავშირდება პირად ექიმს, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო შემთხვევის და დაავადების მართვას (დიაგნოსტიკა და მკურნალობა, კლინიკური, ლაბორატორიული, ინსტრუმენტული გამოკვლევებისა და სპეციალისტის კონსულტაციის გამოყენებით), ახორციელებს სამედიცინო

*Handwritten signature*

*Handwritten signature*

მომსახურების ორგანიზებას, მიმართვის დაგეგმვას სამედიცინო დაწესებულებასა თუ კონსულტანტთან.

2.2. პროფილაქტიკური გამოკვლევები - სამედიცინო ჩვენების გარეშე ჯანმრთელობის სამედიცინო შემოწმების მიზნით დაზღვეული მიმართავს პირად ექიმს, რომელიც უზრუნველყოფს დაზღვეულს პირობებით გათვალისწინებული გამოკვლევებზე მიმართვით ბაზისურ კლინიკაში.

2.3. სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახებისას - დაზღვეული უფლებამოსილია თავად აირჩიოს მომსახურე ლიცენზირებული სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარება : დაზღვეული ან სხვა დაინტერესებული პირი უკავშირდება კომპანიის ცხელ ხაზს. ტელ.: 505 111. მომსახურე სასწრაფო გადაუდებელი დახმარების ბრიგადისათვის დაზღვეულის პოლისისა და პირადობის მოწმობის წარდგენისას დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში პოლისით გათვალისწინებული თანხის გადახდისგან. კომპანიის ცხელ ხაზთან შეთანხმების მომსახურების მიღებისას დაზღვეული იხდის შესაბამისი მომსახურების თანხას სრულად და ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს მომსახურების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაცია მოიცავს : სადაზღვევო პოლისს, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ჩატარებული დამადასტურებელ სამედიცინო და გადახდის დამადასტურებელ ფინანსურ დოკუმენტაციას - სალაროს შემოსავლის ორდერი და სალაროს ქვითარი.

2.4. **ჰოსპიტალიზაცია - დაზღვეული უფლებამოსილია თავად აირჩიოს მომსახურე ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულება :**

2.4.1. გეგმიური ჰოსპიტალიზაციის საჭიროებას განსაზღვრავს პირადი ექიმი, ან დაზღვეულის მიერ შერჩეული ლიცენზირებული სპეციალისტი. პირადი ექიმის მიერ გაცემული მიმართვით/საგარანტიო წერილით, კომპანიის კონტრაქტორ კლინიკაში მომსახურების მიღებისას დაზღვეული თავისუფლდება ღირებულების პოლისით გათვალისწინებული წილის გადახდის პროცედურისაგან. არაკონტრაქტორ კლინიკაში მომსახურების ღირებულება უნაზღაურდება თავად დაზღვეულს მომსახურების მიღების შემდგომ სადაზღვევო პოლისის, პირადობის მოწმობის, ფორმა100, გადახდის დამადასტურებელი სალაროს ქვითრის, შემოსავლის ორდერისა, ანგარიშ-ფაქტურისა და დეტალური კალკულაციის წარმოდგენის საფუძველზე. ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს « სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი პოლდინგის » სერვის ცენტრში მომსახურების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

2.4.2. გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციისას, მათ შორის უბედური შემთხვევით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციისას - დაზღვეული, ან სხვა დაინტერესებული პირი, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიის ცხელ ხაზს, ტელ. : 505 111. შეტყობინება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას : დაზღვეულის სახელი, გვარი, პოლისის ნომერი, სამედიცინო დაწესებულების დასახელება, სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვის დრო. შეტყობინების გარეშე მიღებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები ანაზღაურებას არ ექვემდებარება. ანაზღაურება განხორციელდება კონტრაქტორი სამედიცინო დაწესებულების შემთხვევაში პირდაპირი ანგარიშსწორების გზით, ხოლო სხვა, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვისას შესაბამისი მომსახურების ხარჯების უნაზღაურდება დაზღვეულს. ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაცია (სადაზღვევო პოლისი, პირადობის მოწმობა, ფორმა100, გადახდის დამადასტურებელი სალაროს ქვითრი, შემოსავლის ორდერი, ნგარიშ-ფაქტურა და დეტალური კალკულაცია) წარმოდგენილ უნდა იქნას ჯი პი აის სერვის ცენტრში სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან/მომსახურების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

2.5. **ამბულატორიული მომსახურება დაზღვეული უფლებამოსილია თავად აირჩიოს მომსახურე ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულება :**

2.5.1. გეგმიური ამბულატორიული მომსახურება - დაზღვეული მიმართავს პირად ექიმს. პირადი ექიმი უზრუნველყოფს დაზღვეულს საჭირო კვლევებითა და სპეციალისტთან მიმართვით კომპანიის კონტრაქტორ კლინიკებში, ან დაზღვეულის სურვილისამებრ, სხვა ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში. პირადი ექიმის მიმართვის გარეშე სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვისას დაზღვეული იხდის შესაბამისი მომსახურების თანხას სრულად და ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს მომსახურების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაცია მოიცავს : სადაზღვევო პოლისს, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, პირადი ექიმის მიმართვას ან ექიმი სპეციალისტის დანიშნულებას, მიმართვის/დანიშნულების შესაბამისად ჩატარებული ამბულატორიული მომსახურების დამადასტურებელ სამედიცინო და გადახდის დამადასტურებელ ფინანსურ დოკუმენტაციას - სალაროს შემოსავლის ორდერი და სალაროს ქვითარი.

2.5.2. გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება - დაზღვეული, ან სხვა დაინტერესებული პირი, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიის ცხელ ხაზს, ტელ. : 505 111. შეტყობინება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას : დაზღვეულის სახელი, გვარი, პოლისის ნომერი, სამედიცინო დაწესებულების დასახელება, სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვის დრო. შეტყობინების გარეშე მიღებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები

*Handwritten signature in blue ink.*

*Handwritten signature in blue ink.*

ანაზღაურებას არ ექვემდებარება. ანაზღაურება განხორციელდება კონტრაქტორი სამედიცინო დაწესებულების შემთხვევაში პირდაპირი ანგარიშსწორების გზით, ხოლო სხვა, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვისას შესაბამისი მომსახურების ხარჯების უნაზღაურდება დაზღვეულს. ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაცია (სადაზღვევო პოლისი, პირადობის მოწმობა, ფორმა № 100, გადახდის დამადასტურებელი ფინანსურ დოკუმენტაცია - სალაროს ქვითრი, შემოსავლის ორდერი) წარმოდგენილ უნდა იქნას « სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი პოლდინგის » სერვის ცენტრში სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან/მომსახურების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

- 2.6. მედიკამენტური მკურნალობის შემთხვევაში - პირადი ექიმი შესაბამის დანიშნულებას გამოწერს კომპანიის რეცეპტის ბლანკზე, რითაც ამავე ბლანკზე მითითებულ ავთიაქებში დაზღვეული იხდის გამოწერილი მედიკამენტების ღირებულების მხოლოდ პოლისით გათვალისწინებულ წილს. პირადი ექიმის მიმართვის გარეშე ექიმი სპეციალისტის მიერ დანიშნული მედიკამენტების შექენისას, დაზღვეული იხდის შესაბამისი მომსახურების თანხას სრულად და ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს მომსახურების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაცია მოიცავს: სადაზღვევო პოლისს, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, სპეციალისტის დანიშნულებას, ამონაწერს შექენილი მედიკამენტების შესახებ, სალაროს შემოსავლის ორდერს და სალაროს ქვითარს. ერთჯერად ანაზღაურებას ექვემდებარება მედიკამენტების არაუმეტეს ერთი თვის მკურნალობისათვის საჭირო ღირებულების ხარჯები
- 2.7. ორსულობა/მშობიარობა - დაზღვეული უფლებამოსილია თავად აირჩიოს მომსახურე ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულება :
- 2.7.1. ორსულობა - დაზღვეულის ქმედება განხორციელდება გეგმიური ამბულატორიული მომსახურების ქმედების შესაბამისად.
- 2.7.2. მშობიარობა - მშობიარობის ხარჯების ანაზღაურება ხდება როგორც მზღვეველის კონტრაქტორ, ასევე დაზღვეულის მიერ შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებაში. მოსალოდნელი მშობიარობის პირად ექიმთან წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში დაზღვეული უზრუნველყოფილი იქნება კომპანიის კონტრაქტორ სამშობიარო სახლში მიმართვით. დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში პოლისით გათვალისწინებული თანხის გადახდისაგან. არაკონტრაქტორ სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვისას დაზღვეული ან « დაინტერესებული პირი » იხდის შესაბამისი მომსახურების თანხას სრულად და ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს მომსახურების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაცია მოიცავს: სადაზღვევო პოლისს, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, მომსახურების დამადასტურებელ სამედიცინო (ფორმა 100) და გადახდის დამადასტურებელ ფინანსურ დოკუმენტაციას - სალაროს შემოსავლის ორდერი და სალაროს ქვითარი. უბედური შემთხვევის გამო ორსულობის შეწყვეტის ან საშვილოსნოს გარე ორსულობისას საჭირო სამედიცინო მომსახურების ხარჯები ანაზღაურდება გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურების მუხლის შესაბამისად.
- 2.8. გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება - დაზღვეული უფლებამოსილია თავად აირჩიოს მომსახურე ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულება : კომპანიის, წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებულ, კონტრაქტორ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეულმა უნდა წარადგინოს სადაზღვევო პოლისი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მსგავს შემთხვევაში დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში თანხის გადახდისაგან. კომპანიის არაკონტრაქტორ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეული იხდის მომსახურების თანხას სრულად და შემდეგ ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს მომსახურების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაცია მოიცავს: სადაზღვევო პოლისს, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ჩატარებული მომსახურების დამადასტურებელ სამედიცინო დოკუმენტაციას სრულად, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს მკურნალი ექიმის ბეჭდითა და ხელმოწერით, გადახდის დამადასტურებელ ფინანსურ დოკუმენტაციას - სალაროს შემოსავლის ორდერი და სალაროს ქვითარი.
- 2.9. გეგმიური სტომატოლოგიური (თერაპიული და ქირურგიული) მომსახურება - დაზღვეული უფლებამოსილია თავად აირჩიოს მომსახურე ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულება შემოთავაზებული კონტრაქტორი კლინიკების ფართო არჩევნიდან. დაზღვეულმა წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებულ, კონტრაქტორ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეულმა უნდა წარადგინოს სადაზღვევო პოლისი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მსგავს შემთხვევაში დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში თანხის გადახდისაგან. კომპანიის არაკონტრაქტორ კლინიკაში მიღებული მომსახურება ანაზღაურებას არ ექვემდებარება ;
- 2.10. სიცოცხლის დაზღვევა - (არასრული ვერსია) - დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზით ანაზღაურებაზე პრეტენზიის შემთხვევაში, გარდაცვლილი დაზღვეულის სხეული უნდა იყოს ამოცნობილი. დაზღვეულის გაუჩინარების შემთხვევა არ განიხილება გარდაცვალებად. დაზღვეულის გარდაცვალებისას მოსარგებლე აცნობებს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის

სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი პოლდინგის

10

დადგომის შესახებ დაუყოვნებლივ და წარუდგენს ყველა აუცილებელი დოკუმენტაციას შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 1 თვისა. მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს დაზღვეულის გარდაცვალებასთან დაკავშირებული დამატებითი საბუთები ან/და თავად ჩაატაროს დამატებითი გამოკვლევები. შეტყობინება დაზღვეულის გარდაცვალების შესახებ მზღვეველს უნდა გაეგზავნოს დაუყოვნებლივ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ 67, შემდგომი დოკუმენტაციის თანდართვით: დაზღვეულის გარდაცვალების დამადასტურებელი ოფიციალური ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება დაზღვეულის ასაკი და დაბადების თარიღი; სამედიცინო ცნობა რომელშიც მითითებული იქნება გარდაცვალების გამომომწვევი მიზეზები და დაავადების განვითარების სტადიები; გარდაცვალების ეპიკრიზის (ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან) ასლი; დაზღვეული პირის უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევაში შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი აქტი; ნოტარიულად დამოწმებული ანდერძის ასლი, თუ ასეთი არსებობს.

3. ანაზღაურებას არ ექვემდებარება :
- 3.1. სხეულის განზრახ თვითდაშავებით, თვითმკვლელობის მცდელობით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან (თუ ეს არ ეხება სხვისი სიცოცხლის გადარჩენას) დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები; კრიმინალურ (კანონსაწინააღმდეგო) აქტში მონაწილეობით ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული ხარჯები; თავისუფლების აღკვეთის პერიოდში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
  - 3.2. ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედებით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები; ალკოჰოლიზმის, ტოქსიკომანიის, ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულებასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები, ასევე ამ ნივთიერებათა ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვისას მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
  - 3.3. ნებისმიერი სახის პროფესიულ სპორტში მონაწილეობით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
  - 3.4. ექსპერიმენტული და არატრადიციული (ირიგოლიაგნოსტიკა, ჰომეოპათია, ფიტოთერაპია, აკუპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა) სამედიცინო მომსახურების ხარჯები; არარეგისტრირებული მედიკამენტების, ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატების, ჰიგიენისა და მოვლის საშუალებების, გადასახვევი მასალებისა და შაქრის შემცველელელების ხარჯები; სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომელიც არ არის მიზანშეწონილი სამედიცინო თვალსაზრისით ან ჩატარებულია სამედიცინო ჩვენების გარეშე; ფსიქოტროპული პრეპარატებისა და სისტემური ენზიმოთერაპიის ხარჯები; იმუნორეგულატორული მედიკამენტების ხარჯები;
  - 3.5. საქართველოში აღებული გამოსაკვლევი მასალის საზღვარგარეთ გაგზავნისა და გამოკვლევების, გეგმიური აცრების (ვაქცინაცია, იმუნიზაცია), ნებისმიერი სახის სამედიცინო ცნობის მიღებასთან დაკავშირებული გამოკვლევების, სანატორიული და ბალნეოლოგიური მკურნალობის, სამკურნალო ვარჯიშების, სამედიცინო მასაჟებისა და ფიზიოპროცედურების ხარჯები; სტაციონარულ მკურნალობასა და მშობიარობისთან დაკავშირებული ექსკლუზიური სამედიცინო და ნებისმიერი არასამედიცინო მომსახურების ხარჯები;
  - 3.6. კოსმეტიკური და პლასტიკური სამედიცინო მომსახურების, წონის კორექციასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები; სათვალის ჩარჩოს, კონტაქტური მინების და ლინზების, სასმენი მოწყობილობების ხარჯები; მხედველობის კორექციასთან, მათ შორის ექსიმერული ლაზერით მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა სადაზღვევო პერიოდში მომხდარი უბედური შემთხვევით გამოწვეული საჭიროებისა;
  - 3.7. ნებისმიერი სახის (ეგზო და ენდო) პროთეზირებასთან დაკავშირებული ხარჯები, ორგანოების ტრანსპლანტაციის ხარჯები;
  - 3.8. თანდაყოლილი ან/და გენეტიკური დაავადებებისა და ანომალიების დიაგნოსტიკებისა და მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები;
  - 3.9. სექსუალური დარღვევებთან, ხელოვნურ განაყოფიერებასთან, სტერილიზაციასთან, რეპროდუქციულ ფუნქციასთან, კონტრაცეფციასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები, სანაყოფე სითხის დიაგნოსტიკისა და ნებისმიერი სახის გენეტიკური კვლევასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები; კანისა და ფრჩხილის სოკოვან დაავადებებთან, ფსორიაზთან, სეპორეასთან, ეგზემასა და აკნესთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები (გარდა პირველადი დიაგნოსტიკისა);
  - 3.10. აივ-ინფექციასთან, შიდსთან, ჰეპატიტებთან (ნებისმიერი ფორმისა და სტადიის) დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
  - 3.11. ვენერიული დაავადებებთან, შარდ-სასქესო სისტემის სხვადასხვა მიკროორგანიზმებით გამოწვეული სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებთან (გარდა პირველადი სასკრინინგო დიაგნოსტიკისა) დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

მ. მ. მ. მ. მ.

- 3.12. ფსიქიური დაავადებებთან, ეპილეფსიასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები; ფსიქოთერაპევტის, ფსიქონალიტიკოსისა და ლოგოპედის მომსახურების ხარჯები;
- 3.13. შაქრიანი და უშაქრო დიაბეტთან, თირკმლების ქრონიკული უკმარისობასთან, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებთან, სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადებებთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები (გარდა მწვავე შემთხვევაში კონსერვატიული მკურნალობისა); გაფანტულ და ამიოტროფულ სკლეროზთან, ტუბერკულოზთან, სარკოიდოზთან, სისტემურ დაავადებებთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები; ტონზილექტომიასთან, ადენექტომიასთან, ცხვირის ძვირის გამრუდებლასა და ნიჟარების პიპერტროფიასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
- 3.14. ონკოლოგიურ დაავადებებთან (მათ შორის კეთილთვისებიანი სიმსივნეები) დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების, ქიმიოთერაპიისა და სხივური თერაპიის ხარჯები.
  - 3.14.1. დაფარულია (ანაზღაურდება) ონკოქირურგიული მკურნალობის ხარჯები, რომელიც არ იფარება სახელმწიფო პროგრამების მიერ.
- 3.15. გულ-სისხლძარღვთა და სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები (გარდა მწვავე შემთხვევაში კონსერვატიული მკურნალობისა);
  - 3.15.1. დაფარულია (ანაზღაურდება) კარდიოქირურგიული მკურნალობის ხარჯები, რომელიც არ იფარება სახელმწიფო პროგრამების მიერ.
- 3.16. ქრ. დაავადებებისა მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯები;
  - 3.16.1. დაფარულია (ანაზღაურდება) გულსისძარღვთა, სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების, შარდსასქესო სისტემის პათოლოგიების გამწვავების პერიოდში ანაზღაურდება მედიკამენტური თერაპია;
  - 3.16.2. მედიკამენტური თერაპია დოზირების შერჩევამდე, არაუმეტეს ერთი თვისა.

**4. ჯივიანის პროვაიდერი/ კონტრაქტორი სამედიცინო დაწესებულებები**

**ქ. თბილისი**

**4.1. პირადი ექიმის სამსახური/საბაზისო კლინიკა**

4.1.1. სამედიცინო ცენტრი « კურაციო » - საბურთალოს ქ. № 32; ტელ.: 43 01 01

**4.2. სტრუქტურალური მომსახურება**

- 4.2.1. « უნივერსი » - საბურთალოს ქ. № 41; ტელ.: 43 02 02
- 4.2.2. « დენტექსი 95 » - ლადიძის ქ. №8, ტელ: 983 990
- 4.2.3. « ელიტი » - ირაბაშიძის ქ. №47; ტელ.: 22-30-51; 91-52-26
- 4.2.4. « ულტრადენტი » - ბახტრიონის ქ. №11; ტელ.: 36-60-48
- 4.2.5. « დენტივერი » - კონსტიტუციის ქ. №2; ტელ.: 95 42 68

**4.3. სასწრაფო გადაუდებელი დახმარება**

- 4.3.1. « კარდიოქსპრესი » - ქ. თბილისი; ვაჟა-ფშაველას გამზ. №83/11, ტელ: 004, 390 000, 950 000
- 4.3.2. « კონკორდ - მედი » - ქ. თბილისი; ბახტრიონის ქ. №22 ა, ტელ: 14 11 22; 14 11

**4.4. სააფთიაქო ქსელი**

- 4.4.1. სააფთიაქო ქსელი « სახალხო აფთიაქი »
- 4.4.2. სააფთიაქო ქსელი « PSP »
- 4.4.3. სააფთიაქო ქსელი « ABC »

**4.5. ამგულატორიული და კოსპიტალური მომსახურება**

- 4.5.1. სამედიცინო ცენტრი « კურაციო » - საბურთალოს ქ. № 32
- 4.5.2. სს « ტრავმატოლოგი » - უ. ჩხეიძის ქ. № 17
- 4.5.3. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი - ლუიბლიანას ქ. №18/20
- 4.5.4. შპს « ინტერკლინიკა » - ბაზაეთის №7
- 4.5.5. სამედიცინო ცენტრი « იუნონა » - ი. ჭავჭავაძის გამზ. № 37
- 4.5.6. დ. გაგუას კლინიკა - ლუიბლიანას ქ. №2/6
- 4.5.7. « ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნიოლოგიის ს/ცენტრი » - ალ. აზბეგის გამზ. №16
- 4.5.8. « ნეოროქირურგიული კლინიკა » - წინანდლის ქ. №9
- 4.5.9. « ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა » - ვაჟა ფშაველას №29
- 4.5.10. « გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი » - ლუიბლიანას ქ. №4
- 4.5.11. « ზოგადი თერაპიის კლინიკა » - წინდლის ქ. №9
- 4.5.12. « მედული » - ქიჯიას ქ. №6
- 4.5.13. « კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი » - თევდორე მღვდლის ქ. №13
- 4.5.14. « სხივი » - წინდლის ქ. №9
- 4.5.15. « №4 კლინიკური საავადმყოფო » - გუდამყრის შეს. №4

*Handwritten signature in blue ink.*

*Handwritten signature in blue ink.*

- 4.5.16. « ოფთალმოლოგიისა და ნენროლოგიის ეროვნული ცენტრი » - გორგასლის ქ. №71
- 4.5.17. « დ. ქორიძის სახელობის სამშობიარო სახლი » - გორგასლის ქ. №93
- 4.5.18. « თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამეცნიერო ცენტრი » - კაპანაძის ქ. №3
- 4.5.19. « მანანა შარაშიძის სამედიცინო ცენტრი » - ც. დადიანის ქ. №255
- 4.5.20. « ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი »-ა.ყაზბეგისქ. №22
- 4.5.21. « №5 სამშობიარო სახლი » - თემქა, მკრ №11, კვ.№1
- 4.5.22. « დ. გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკა » - თემქა, მკრ №11, კვ.№1
- 4.5.23. « გინეკოლოგიური კლინიკა » - წინაძლის ქ. №9
- 4.5.24. « გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკა » - ლუბლიანას ქ. №21
- 4.5.25. « ანგიოქირურგიის აკადემიური კლინიკა » - თევდორე მღვდლის ქ. №13
- 4.5.26. « №2 სამშობიარო სახლი » - უზნაძის ქ. №58
- 4.5.27. შპს « ემერჯენსი სერვისი » - ვაჟა ფშაველს №29

მზღვეველი/მიმწოდებელი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეცვალოს ერთი ან რამოდენიმე სამედიცინო პროვაიდერი/კონტრაქტორი, რის შესახებაც ეცნობება დამზღვევეს ერთი თვით ადრე.

**5. სადაზღვევო პოლისები**

**5.1. GPIH –A - ძირითადი სადაზღვევო პოლისი:**

5.1.1.	24 საათიანი სატელეფონო სამედიცინო კონსულტაცია	100%, ულიმიტო
5.1.2.	პირადი ექიმის მომსახურება	100%, ულიმიტო
5.1.3.	პროფილაქტიკური გამოკვლევები	100%, წელიწადში ორჯერ
5.1.4.	სასწრაფო სამედიცინო დახმარება	100%, ულიმიტო
5.1.5.	გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება	100%, 7 500.00 ლარი
5.1.6.	გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურება	100%, 4 000.00 ლარი
5.1.7.	გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება	100%, ულიმიტო
5.1.8.	გეგმიური ამბულატორიული მომსახურება	80%, 800.00 ლარი
5.1.9.	მედიკამენტები	80%, 1 000.00 ლარი
5.1.10.	ორსულობა	100%, 500.00 ლარი
5.1.11.	მშობიარობა	100%, 1 1000.00 ლარი
5.1.12.	გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება	100%, ულიმიტო
5.1.13.	გეგმიური (თერაპია, ქირურგია) სტომატოლოგიური მომსახურება	80%, 800.00 ლარი
5.1.14.	ორთოპედიული/ორთოდონტიული სტომატოლოგიური მომსახურება	20%, ულიმიტო
5.1.15.	სამოგზაურო დაზღვევა (ვრცელდება თანამშრომლებზე) დოლარი	3 კვირა; 50 000.00ა.შ.შ.
5.1.16.	სიცოცხლის დაზღვევა (ვრცელდება თანამშრომლებზე)	5 000.00 ლარი
5.1.17.	სადაზღვევო პრემია ერთი თანამშრომლისთვის თვეში	20.39 (ოცი და 39) ლარი
5.1.18.	საოჯახო პაკეტის ოჯახის ერთ წევრზე თვეში ლარი	16.31 (თექვსმეტი და 31 )

**5.2. GPIH –B - გაუმჯობესებული სადაზღვევო პოლისი:**

5.2.1.	24 საათიანი სატელეფონო სამედიცინო კონსულტაცია	100%, ულიმიტო
5.2.2.	პირადი ექიმის მომსახურება	100%, ულიმიტო
5.2.3.	პროფილაქტიკური გამოკვლევები	100%, წელიწადში ორჯერ
5.2.4.	სასწრაფო სამედიცინო დახმარება	100%, ულიმიტო
5.2.5.	გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება	100%, 10 000.00 ლარი
5.2.6.	გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება უბედური შემთხვევის გამო	100%, 10 000.00 ლარი
5.2.7.	გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურება	100%, 5 000.00 ლარი
5.2.8.	გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება	100%, ულიმიტო
5.2.9.	გეგმიური ამბულატორიული მომსახურება	100%, 2 000.00 ლარი
5.2.10.	მედიკამენტები	100%, 2 000.00 ლარი
5.2.11.	ორსულობა	100%, 500.00 ლარი
5.2.12.	მშობიარობა	100%, 1 500.00 ლარი
5.2.13.	გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება	100%, ულიმიტო
5.2.14.	გეგმიური (თერაპია, ქირურგია) სტომატოლოგიური მომსახურება	100%, 1 000.00 ლარი
5.2.15.	ორთოპედიული/ორთოდონტიული სტომატოლოგიური მომსახურება	20%, ულიმიტო

*Handwritten signature in blue ink.*

*Handwritten signature in blue ink.*

- 5.2.16. სამოგზაურო დაზღვევა (ვრცელდება თანამშრომლებზე) დოლარი 3 კვირა; 50 000.00ა.შ.შ.
- 5.2.17. სიცოცხლის დაზღვევა (ვრცელდება თანამშრომლებზე) 10 000.00 ლარი
- 5.2.18. სადაზღვევო პრემია ერთი თანამშრომლისთვის თვეში ლარი 63.00 (ცამოცდასამი)
- 5.2.19. საოჯახო პაკეტის ოჯახის ერთ წევრზე თვეში ლარი 50.00 (ორმოცდაათი )

**5.3.GPIH –C (სადაზღვევო პოლისი თანამშრომლების მშობლებისთვის)**

- 5.3.1 24 საათიანი სატელეფონო სამედიცინო კონსულტაცია 100%, ულიმიტო
- 5.3.2 პირადი ექიმის მომსახურება 100%, ულიმიტო
- 5.3.3 სასწრაფო სამედიცინო დახმარება 100%, ულიმიტო
- 5.3.4 გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება 80%, 3 000.00 ლარი
- 5.3.5 გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება უბედური შემთხვევის გამო 100%, 5 000.00 ლარი
- 5.3.6 გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება 100%, ულიმიტო
- 5.3.7 გეგმიური ამბულატორიული მომსახურება 50%, 500.00 ლარი
- 5.3.8 მედიკამენტები 15%, ულიმიტო
- 5.3.9 სადაზღვევო პრემია ერთი პირისთვის თვეში 15.00 (თხუთმეტი) ლარი

**6. დამატებითი პირობები :**

- 6.1.1 შტატგარეშე მომუშავე თანამშრომელთა დაზღვევა შესაძლებელია ძირითადი (GPIH-A) და გაუმჯობესებული (GPIH-B) სადაზღვევო პოლისებით. აღნიშნული პოლისებისთვის განსაზღვრული პირობებითა და პრემიით. სადაზღვევო შენატანს უზრუნველყოფს დაზღვეული;
- 6.1.2 სპეციალური შემოთავაზება დაზღვეულთა მშობლებისათვის (ბონუსები) – სადაზღვევო პოლისი GPIH-C ;
- 6.1.3 კომპანიის ბაზისურ კლინიკას აქვს საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტენის) გაცემის უფლება;
- 6.1.4 მზღვეველის ვალდებულებები დაზღვეულის მიმართ ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე და გაგრძელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.
- 6.1.5 დაზღვევა ვრცელდება დაზღვევამდე არსებული დაავადებების გამწვავების მკურნალობაზე (იხ. გამონაკლისები).
- 6.1.6 სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის გამარტივებული პროცედურა (იხ. ქმედება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას).
- 6.1.7 სამედიცინო დაწესებულებების თავისუფალი არჩევანი პოლისის პირობების შესაბამისად.
- 6.1.8 გეგმიური სტაციონალური მომსახურება გულისხმობს გეგმიური ოპერაციების ხარჯების ანაზღაურებასაც.
- 6.1.9 ორი სამედიცინო პუნქტის გახსნა (№2 კორპუსი და მ/კ)
- 6.1.10 პაკეტის ინდივიდუალურად გაუმჯობესების შესაძლებლობა;
- 6.1.11 ანაზღაურებისთვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენისთანავე 200 ლარამდე თანხის გაცემა ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორების გზით სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის სერვის ცენტრში. 200 ლარზე მეტი ოდენობის სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, დაზღვეულის პირად ანგარიშზე ჩარიცხვის გზით არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

**7. ანგარიშსწორება, უსახელო**

- 7.1. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში. დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის გადასახდელი ყოველთვიური სადაზღვევო პრემიის ოდენობა ერთ დაზღვეულ თანამშრომელზე შეადგენს 20.39 (ოცი, 39 თეთრი) ლარს, ამასთან, მზღვეველის მიერ მისაღები სადაზღვევო პრემია ერთ თანამშრომელზე და მის ოჯახის წევრებზე (მეუღლე 65 წლამდე და შვილები 25 წლის ასაკამდე) შეადგენს 16.31 (თექვსმეტი და 31) ლარს.
- 7.2. დამზღვევი უზრუნველყოფს დაზღვეულის მიერ ოჯახის წევრთა დაზღვევისათვის გადასახდელი ყოველთვიური სადაზღვევო პრემიის გადმორიცხვასაც შესაბამის თვეში თავის თანამშრომელთა დაზღვევისათვის მზღვეველისათვის გადასახდელ თანხასთან ერთად.
- 7.3. ანგარიშსწორება ანუ დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ერთთვიანი კონსიგნაციით მზღვეველის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე ანუ მზღვეველი ყოველი თვის ბოლოს წარუდგენს დამზღვევს ანგარიშ-ფაქტურას, სადაც მიეთითება დამზღვევის მიერ შესაბამის თვეში გადასახდელი

*Handwritten signature in blue ink.*

*Handwritten signature in blue ink.*



- სადაზღვევო პრემიის ოდენობა წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დაზღვეულ პირთა ოდენობის გათვალისწინებით, ხოლო დამზღვევე კი ანგარიშ-ფაქტურის მიღებიდან 10 ათი სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს შესაბამისი თვის სადაზღვევო პრემიის მზღვეველისათვის გადახდას.
- 7.4. დამზღვევის მიერ ამ ხელშეკრულების თანახმად გადასახდელი მინიმალური სადაზღვევო პრემიის ოდენობა ფიქსირებულია ამ ხელშეკრულების პირველ გვერდზე, როგორც ხელშეკრულების ღირებულება.
- 7.5. სრული სადაზღვევო პრემია – შედგება ხელშეკრულების სრული ღირებულებისა და დაზღვეულის მიერ გადასახდელი (ოჯახის წევრის პრემია, გაუმჯობესებული პოლისის პრემია, შტატგარეშე თანამშრომლის პრემია) პრემიის ჯამს. სრული სადაზღვევო პრემიის გადახდის/გადმორიცვის პასუხისმგებლობა ეკისრება დამზღვევეს.

**8. ხელშეკრულების შესრულების ბარანტია**

- 8.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, გამოყენებული იქნება საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5 % -ის ოდენობით (16 700 ლარის ოდენობით).
- 8.2 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.
- 8.3 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს დაუბრუნოს გარანტია შემდეგ შემთხვევებში:
- ა) გარანტიის მოქმედების ვადის გასვლისთანავე;
  - ბ) მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას;
  - გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისა;
  - დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

- 9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა – ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
- 9.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია, დააკისროს შემსყიდველს ჯარიმის გადახდა ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.
- 9.3 ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.
- 9.4 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**10. დავების გადაწყვეტა**

- 10.1 მხარეთა შორის წარმოშობილი სადაო საკითხები გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავები გადაწყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**11. ფორს-მაჟორი**

- 11.1 ფორს-მაჟორული სიტუაციის დადგომის შემთხვევაში მხარეთა ვალდებულებანი წყდება მხოლოდ დროებით და ახლდება ამ მდგომარეობათა დამთავრების შემდეგ.

**12. დასკვნითი დებულებები**


- 12.1 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ, რის შემდეგაც ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 12.2 ხელშეკრულების რომელიმე პარაგრაფის ან პუნქტის გაუქმება არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების გაუქმებას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი პარაგრაფის ან პუნქტის გარეშე.
- 12.3 წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მხარეებს შეიძლება, მიეწოდოს წერილობითი ფორმით ელ. ფოსტის ან ფაქსის მეშვეობით, ამასთან, მხარეები ვალდებული არიან აღნიშნული ფორმით მიწოდებული ინფორმაცია ყოველი თვის დასრულებიდან ერთი კვირის განმავლობაში გაცვალონ დოკუმენტური ფორმით, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და სათანადო ბეჭდით. ასეთი დოკუმენტაცია მხარეებს მიეწოდებათ მათი ადგილსამყოფელის მიხედვით (წინამდებარე პუნქტი 12.3. წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების მუხლი 23-ის დაკონკრეტებას).

*Handwritten signature in blue ink.*

*Handwritten signature in blue ink.*

- 12.4 წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- 12.5 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი (დანართი № 1 – გასაწვევი მომსახურების აღწერილობა და განმარტებები და № 2 – დაზღვეულ პირთა სია) წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ისინი განიხილებიან ერთიან მთლიანობაში;
- 12.6 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად დამზღვევისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 12.7 შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები ძალაში რჩება;
- 12.8 მზღვეველი/მომწოდებელი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით;
- 12.9 დაზღვეულისთვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების გაცემის შემდეგ, მზღვეველი/მომწოდებელი იტოვებს უფლებას მოითხოვოს შესაბამისი ხარჯების კომპენსაცია იმ პირთაგან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან დაზღვეულის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანზე
- 12.10 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.
- 12.11 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს (დამზღვევეს), ხოლო ერთი – მიმწოდებელს (მზღვეველს).

**მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები**

ს.ს. "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი პოლინგი"	"ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"
<p>ქ. თბილისი ; მ. კოსტავას ქ. №67 ტელ. : 505 111 ;</p> <p>საბანკო რეკვიზიტები : თი ბი სი ბანკის ცენტრალური ფილიალი ბ/კოდი 220101850 ანგ № 5700652 ს/კ 204426674. გენერალური დირექტორი:  გენ. დირექტორის მოადგილე  /მ. ფინხაძე</p> 	<p>ქ. თბილისი; ი. ჭავჭავაძის გამზ. №1 ტელ.: 22 35 01;</p> <p>საბანკო რეკვიზიტები : კ/ბ „რესპუბლიკა“ ანგ. № 345634 ბ/კ 220101757 საინდივიდუალური კოდი 204864548 ადმინისტრაციის ხელმძღვანელი  /დ.ჩომახიძე</p> 